პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი [illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საჭრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, [illegible] ქ. № 1. რედაქტორი ღებულობს ყოველ დღე [illegible]
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის №
საერთო №

გაზეთის კანტორა
[illegible] საქართველოს ცენტრალური [illegible] რუსთაველის ქ. № 4
ტელეფონი №

№ 126 ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 1921 წ. № 126

4 აგვისტო
ხუთშაბათი

1919 საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება უნგრეთში. პროლეტარული უნგრეთი დაეცა მეზობლების ღალატით, ყველა სახალხო კომისარები დატუსაღებულ იქნენ.

1881. გამოვიდა „ლისტოკ ნაროდნოი ვოლი“-ს პირველი ნომერი.

დღიური:

— გერმანიაში დაიწყო დემონსტრაციები [illegible] ომის წინააღმდეგ.

— პოლონეთის ტერორი [illegible] ძლიერდება.

— მთიელების ხაზინიდან [illegible] საქართველო მიიღებს გაცვლის სახით სიმინდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიყულ კონტრ-რევოლიუციონერთა მანიფესტი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია ის შეთანხმება, რომელიც დაუდვიათ ერთმანეთ შორის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ყოფილ მთავრობებს ქ. პარიზში, ა. წ. 10 ივნისს. თითქმის ქვესკნელიდან ამომძვრალან ჩხენკელ-აგარონიან თოფჩიბაშევ-ჩერმოევი და დღის სინათლეზე ცდილობენ აცნონ ქვეყნიერებას თავიანთი „დემოკრატიული“ მრწამსი. ეს კონტრ-რევოლიუციონერი ამქარი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლად აცხადებს თავის თავს. მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატელთა და რეაქციონერ მთიელთა ყოფილი ელჩები ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებთან ბაქიობენ და,—ვითომ არაფერი მომხდარაო,—მანიფესტით მიმართავენ მთელს ქვეყანას. მხიარული სიცილით შეგვიძლიან ჩვენ შევხვდეთ ამ მანიფესტს და მის ავტორებს, ვინაიდან ვიცით, რომ ყველაფერი შესაძლებელია ქვეყნიერებაზე და ჩვენშიც, მაგრამ ქართველ მენშევიკების, სომხეთის დაშნაკელების, აზერბაიჯანის მუსავატელების და მთიელთა რეაქციონერთა ხელახლა გაბატონება ამიერ-კავკასიაში შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ის ზიზღი, რომელიც მოიმკეს ამ ხალხის მოღალატე პარტიებმა, ის ზღვა ცრემლის და სისხლის, რომელიც მათ დააყენეს ჩვენს კუთხეში, ის პოლიტიკური [illegible], რითაც მათ დაიმსახურეს კაციჭამია იმპერიალისტების სიყვარული და მშრომელთა სიძულვილი, ერთი სიტყვით, ის გაუზომელი სიბეცე და სიტუტუცე, რომელიც მათ გამოიჩინეს ისტორიული განვითარების უზენაეს ნებისადმი—ყოველივე ეს უეჭველ ხდის მათ სამუდამოდ დასამარებას. ისტორიის სასწორზე ცოცხლად გაგდებულთ, მშრომელი ხალხის წყევლა კრულვით დატვირთულთ, მათ შეუძლიათ კიდევ დრო-გამოშვებით კონტრ-რევოლიუციონური ავანტიურის დაწყება, ბრიანების და ლოიდ ჯორჯების ფეხის ლოკვა „ძვირფას სამშობლოს“ კვლავ დასაბრუნებლად, მაგრამ ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება, მშრომელთა ძალაუფლების და პროლეტარიატის რევოლიუციის მონაპოვართა დათრგუნვა და განიავება მათ აღარ შეუძლიათ. ასეთია ნება ისტორიის.

მაგრამ საინტერესოა მაინც ვიცოდეთ, რა ცვლილება მოსვლია რეაქციონერ ემიგრანტების მთავრობებს და მათ „წარმომადგენლებს“? რა შინაარსისაა მათი გულითადი შეთანხმება?

უმიწ-წყლოთ და უხალხოთ დარჩენილ ნ. ჟორდანიას, დაშნაკელთა, მუსავატელთა და მთიელთა თავადების მთავრობები თურმე გამსჭვალულნი ყოფილან სურვილით, რათა კავკასიის ერებს „მიანიჭონ თავისუფლება, დემოკრატიული წყობილება და ეკონომიური აყვავება“ და ამ რესპუბლიკებს შორის „აღმოფხვრან ყოველგვარი შუღლი“ და დაამყარონ ერთა შორის მტკიცე სოლიდარობა.

მართალია, სამი წლის წინად ბატონობდენ აქ ეს მთავრობები და თუ რა თავისუფლება, დემოკრატიზმი, ეკონომიური აყვავება და სოლიდარობა მიანიჭეს ხალხს, ეს დღეს ყველამ კარგათ იცის. და თუ ახლა ეს პატივცემული გვამნი საიქიოდან, იმპერიალისტების ბუნაგიდან გვპირდებიან გაბედნიერებას, ცხადია, რომ მათი ერთად ერთი იმედი იმპერიალისტების ხიშტები და შავკანიანების შემოსევა ყოფილა.

ამ იმედის განსახორციელებლად შტუტგარტში დარჩენილი მთავრობები საჭიროთ სცნობიან სამხედრო კონვენციით შეეკრან ერთმანეთს და აგრეთვე ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებს; მათ სურთ „მჭიდრო და ძმური უნია, კავშირი“, მოსპონ საზღვარზე საბაჟოები და სხვა დაბრკოლებანი, ერთი სიტყვით, ერთ მთლიან რეაქციონურ ბანაკად იქცენ.

თუ კი რამ არის ჩვენთვის ამ რეაქციონურ ჩანაფიქრსა და ოცნებაში საინტერესო და ყურადსაღები, აი რა: ზოგ ჩვენს ამხანაგს ჯერაც არ ესმის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის, სამეურნეო და სამხედრო გაერთიანების მნიშვნელობა. ასეთი კავშირი და გაერთიანება ზოგ კომუნისტსაც კი მიუღებელ, უნიადაგო ექსპერიმენტად მიაჩნია, დამოუკიდებლობის განიავებათ ეჩვენება.

ჩვენი რეაქციონერების მანიფესტმა ეს ამხანაგები უნდა გამოაღვიძოს და თვალი აუხილოს. ჩვენი რეაქციონერები ხომ უკიდურესი ნაციონალისტები და შოვინისტები არიან, ისინი ხომ „დამოუკიდებლობას“ და სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობას თითქოს აღმერთებენ და აი შეხედეთ ახლა მათ: დამოუკიდებლობასაც უარჰყოფენ, საბაჟოებსაც სპობენ და სამხედრო კავშირით ეკვრიან ერთმანეთს ოღონდ კი გათელონ ხალხის ძალაუფლება, ჩამოაგდონ საბჭოთა მთავრობა და დაიმკვიდრონ ბატონობა იმპერიალისტების ხიშტების საფარველს ქვეშ. ასე მოქმედებდენ ისინი წინად, ასე აპირებენ მოქმედებას ახლაც.

რას გვასწავლებს ჩვენს კონტრ-რევოლიუციის თავის წამოწევა და სამოქმედოთ სამზადისი? კონტრ-რევოლიუციონურ გაერთიანებულ ბანაკს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ პროლეტარული რევოლიუციის გაერთიანებული ბანაკი. საბჭოთა რესპუბლიკებმა მთლიანი ფრონტი უნდა შეახვედრონ მსხვილ და წვრილ იმპერიალისტების გაერთიანებულ ფრონტს.

რეაქციის მოციქულებო! თქვენ გსურთ საზღვრების მოშლა ერთმანეთ შორის, რათა უფრო ადვილად დაჩაგროთ კავკასიის მშრომელი ხალხები? მშრომელ ხალხებმა, მათ მუშურ-გლეხურმა მთავრობებმა უკვე მოსპეს ეს საზღვრები.

კონტრ-რევოლიუციის რაინდებო! თქვენ გსურთ ერთმანეთს სამხედრო კავშირით. გსურთ შეაერთოთ თქვენი შავი ურდოები და შეუერთოთ ისინი იმპერიალისტების შავკანიანებს მშრომელთა რევოლიუციის სისხლში ჩასახრჩობათ? მშრომელი ხალხები ამიერ-კავკასიისა გააერთიანებენ თავიანთ წითელ ლაშქარს, შეუკავშირებენ მას საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილ არმიას შავი რეაქციის მოსაგერებლად და სოციალისტური რევოლიუციის დასაცავად. ჩვენი კავშირი, ჩვენი უნია არის და იქნება მტკიცე და სამარადისო, ვინაიდან ჩვენ ვაერთიანებთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს. ჩვენ ვლესავთ მახვილს მხოლოდ მშრომელთა მტრების წინააღმდეგ.

თქვენ კი გაერთიებთ ინტერესები მსხვილის მყვლეფელთა და დამპყრობელთა, თქვენ გალესილი დანა მზათ გაქვთ, რათა ერთმანეთს ეცეთ, როცა ჯერი მიდგება ნადავლის გაყოფაზე.

თქვენი მომავალია-ისტორიის უფსკრული და სამუდამო სამარე. ჩვენი მომავალი საბოლოო გამარჯვება და მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებასთან ზიარება.

საბჭოთა რუსეთის პრესა

რევოლიუციისაკენ გადახრა.

იტალიიდან მოსული ცნობები გვიჩვენებს, რომ იტალიის მუშათა კლასი კვლავ აღსდგა (ფეხზე) და განაახლა თავისი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გასულ წლის სექტემბერში იტალიის ზოგიერთ სამრეწველო ქალაქში მუშებმა ხელთ იგდეს ფაბრიკა-ქარხნები და განაგრძეს მუშაობა თავის საკუთარ გამგებლობით, გლეხებმა მიჰბაძეს მუშებს და მემამულეებს მიწები წაართვეს.

ეს რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა სოციალისტურ პარტიათა და პროფესიონალურ კავშირთა ბელადების გამყიდველობის გამო.

ისინი არამც თუ ხელმძღვანელობდნენ მოძრაობას. პირიქით გამართეს მოლაპარაკება მთავრობასთან და მასთან დათმობით გადაჭრეს საქმე.

ამ დროის განმავლობაში კი მთავრობამ მოაწყო შავრაზმელთა-ფაშისტების ბანდა, განსაკუთრებით ძველ კადრის ოფიცრებისაგან.

უკანასკნელი მთავრობამ შეიარაღა და მოამარაგა სამხედრო საწყობებიდან და მუშებს წაუსია.

ფაშისტები ეცემოდნენ მუშათა კავშირთა შენობებს, მუშათა გაზეთების სტამბებსა და რედაქციებს, ან გრევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მათ.

ფაშისტებმა დასაჯეს და დახვრიტეს მრავალი მუშა-კომუნისტი და მემარცხენე სოციალისტი.

პოლიცია არამც თუ ხელს უშლიდა ფაშისტებს, იგი ეხმარებოდა კიდეც მათ.

მუშათა მოძრაობა დაამარცხეს და ჩაჰკლეს, ხოლო ფაშისტების ძალადობა და რბევა უფრო ძლიერდებოდა.

სოციალისტ-შემთანხმებლებმა მაშინ მიჰმართეს სხვა ხერხს. მათმა მემარჯვენე ბელადებმა ხელი მოაწერეს ფაშისტების ბელადებთან პირობას, ურთი ერთ შორის გაუიარაღებისა და ბრძოლის შეწყვეტის შესახებ, და ვინც არ დაემორჩილებოდა ამ პირობას მართო, როგორც დამნაშავეს, ხელისუფლებას ხელში აძლევდნენ პასუხის გებისათვის შეძლებისდაგვარად. რასაკვირველია, ეს უსინდისო შეთანხმება ნიშნავდა საქმით მუშების ახალ გამცემლობას. მუშებს ართმევდნენ იმ მცირე იარაღის საშუალებასაც, რომელიც მათ აქვთ, და საუკეთესო რევოლიუციონერები ციხეებში გამოამწყვდიეს. მთავრობის შავრაზმელებს კი იარაღი რასაკვირველია შერჩებოდათ ხელში და არც ციხეებით გაუმასპინძლდებოდნენ.

მუშებმა შავრაზმელთა ასეთ რბევას სხვა გზით უპასუხეს.

რომში (სატახტო ქალაქი) ფრონტზე მყოფმა-ყოფილმა ჯარისკაცებმა მუშებმა, ტრამვაელებმა, რკინისგზელებმა, ფოსტა და ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შეადგინეს სახალხო დამრტყმელი რაზმები.

ივლისის 6 შუადღისას სატახტო ქალაქში შესწყდა მოძრაობა ფაბრიკა ქარხნებში, დაწესებულებებში მუშაობა შეჩერდა და მოედანზე შეიკრიბა და გაიმართა დიდი კრება—50000-დე მეტი მონაწილეთაგან.

მუშებმა გაიარეს წითელ დროშებით, ხუთი ათას ფრონტელთა მეთაურობით, რომელნიც ჯერ კიდევ ჯარის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. სახალხო დამრტყმელი რაზმის ერთერთმა უფროსმა, თავის სიტყვაში სთქვა:

დრო ბოლო მოეღოს ფაშისტების ძალადობას. პროლეტარიატი აღსდგა, როგორც ერთი კაცი, თავისუფლების, თავის ერის და დაჩაგრულების დასაცავად. დღე მშრომელ დამქირავებლებმა იცოდნენ, რომ დამსჯელ ექსპედიციებს, რბევას და ცეცხლის წაკიდებას ბოლო უნდა მოეღოს. მისმა დრომ განვლო. დღეიდან ყველა ძალადობას მუშათა მიმართ იგი შეხვდება სახალხო დამრტყმელი რაზმებს შეიარაღებულ გამოსვლებით.

ქალაქი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ყველგან მუშების გვარდიისა და კავალერიის პატრულები დააყენეს, მაგრამ ვერავინ გაბედა მუშებზე თავდასხმა და წესიერება დაირღვია. ფაშისტები მიიმალნენ. მთელი პრესა ამ დამრტყმელ რაზმების შესახებ ლაპარაკობს. ბევრნი ამას თვლიან როგორც შებრუნებას საქმის მსვლელობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ იტალიის მუშათა კლასი გამაგრდა და ძალა მოიკრიბა ენკენისთვის დამარცხების შემდეგ.

ეხლა კომუნისტური პარტია, რომელიც შესდგა გადამწყვეტ მებრძოლთაგან ბურჟუაზიასთან ბრძოლაში შესძლებს თავის ხელში აიღოს მოძრაობის ხელმძღვანელობა: იტალიის პროლეტარიატი სწრაფ ნაბიჯით მიდის გამარჯვებისაკენ.

ვ. კარპინსკი.

„ბედნოტა“ 12 ივლისი.

პურის სუროგატები

გვალვები, მოუსავლობა და შიმშილი არაა ახალი ამბავი არც რუსეთისათვის, არც საქართველოსათვის და არც მსოფლიოს სხვა კუთხისათვის. წელს მაგალითად საბჭოთა ტერიტორიის გარდა გვალვამ მოსპო გერმანიაში დიდი მოსავალი. წინათაც გამოუცდია შიმშილობა რუსეთს, მაგალითად 1892—1893 წლებში, მაგრამ იმ დროს ავი იყო თუ კარგი ერთი საწარმოვო აპარატი იყო ძალაში და მშრომელი გლეხობის წყალობით კიდევ მოიპოვებოდა ძველი დაგროვილი ქონი, მაშინ რა თქმა უნდა უფრო იოლი იყო ბრძოლა შიმშილთან, ახლა კი სულ სხვაა.

დღეს ძველი მონაწევარი ყოველივე შეჭამულია, ხოლო ახალი მოსავალი არ მოიპოვება და არც არის იმედი საიდანმე შეივსოს დანაკლისი.

ყველა სხვაგვარი მთავრობა ასეთ პირობებში თავგზას დაკარგავდა და ფარხმალს დაყრიდა.

მაგრამ ასე როდი იქცევა საბჭოთა მთავრობა. იგი მზათაა გაუმკლავდეს ამ მოულოდნელ განსაცდელსაც და ამ სტიქიური ბრძოლიდანაც პროლეტარულ სოლიდარობაზე დამყარებული გამარჯვებული გამოვიდეს.

საბჭოთა მთავრობის მძიმე ეკონომიურ პირობებში სწორეთ მძლე წელიწადი მოხვდა, საჭიროა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის ამუშავება, საჭიროა გმირული ზომები, რასაც მხოლოთ მუშური დიქტატურა შესძლებს და არა შერყეული ელემენტები, რომ თავი გაიტანოთ მომავალ წლამდი.

პურის სუროგატის გამოძებნის აზრი ახალი არაა. ჩვენ გვახსოვს ის ახლო წარსულში მაგალითად გერმანიაში, იმპერიალისტური ომის დროს, გვახსოვს საბჭოთა რუსეთში 1918 წელს, როდესაც რუსეთი საშინელ შიმშილს და მტრისაგან აუწერელ არეულ-დარევას განიცდიდა, როდესაც მამაცი და რევოლიუციონური სულით გაძლიერებული მოსკოვის პროლეტარიატი [illegible] თესლის ფქვილს ხმარობდა პურის ალაგას.

დღესაც თუ საჭიროება მოითხოვს უნდა გამოძებნოს ისეთი სუროგატები, რომელიც მიზან შეწონილათ გასწევენ პურის მაგიერობას. საუბედუროთ ჯერ მეცნიერებამ არ იცის პურის ისეთი სუროგატი რომელიც სავსებით სცვლიდეს მას, მაგრამ მაინც არის ისეთები, რომლების პურში მიმატებით 30—40 და 50 პროცენტით პურს პურის თვისება თითქმის არ ეკარგება. ასეთ სუროგატებათ დღეს ცნობილია მაგალითად ქართოფილი, ჭარხალი, ბოლოკი, კვახი, კომბოსტო და სხვა. მათი შესაფერისათ ხმარება პურის ფქვილში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ხელსაყრელი იქნებოდა. მაგალითად გემოშრალი კარტოფილის დაფქვა და 40—50 პროც. ფქვილში მიმატება, კარტოფილის კანი კი ცხელი წყლით უნდა მოცილდეს, რადგან ის სრული უვარგისია და ყოველგვარ ნაყოფიერებას მოკლებული. ან მისი (კარტოფილის) მოხარშვა და ცომში შეზელა. ამნაირათ შეიძლება სხვა სუროგატების ხმარებაც.

ჩვენში საკმაოთ მოიპოვება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სუროგატები, რომლებიც ძლიერ ეკონომიოთ იხარჯება სოფლებში, მათი შეძენა და შესაფერისათ გამოყენება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს არც ისე ძნელია.

მოგვყავს ცხრილი ჩამოთვლილი სუროგატთა შემადგენლობისა.

	წყალი	ცილოვანი ნივთიერებები	ქონი	ნახშ. და უაზოტ. ნივთ.	მარილი	* უჯრედისი
პურის ფქვილი	3.0	9.6	1.5	7.00	1.0	1.4
ქართოფილი	75.0	20.0	0.2	20.9	1.0	1.0
ქართოფილის ფქვილი	11.1	59.6	0.24	78.6	2.2	1.82
ჭარხალი	88.0	1.3	0.1	8.6	1.0	0.9
ბოლოკი	0.67	1,12	0.24	6.06	0.76	1.11
კომბოსტო	92.0	1.3	1.0	4.8	0.5	0.8
კვახი	90.3	1.1	1,0	6.5	0.7	1.2

ცხრილის შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ თამამათ შეიძლება ზემოჩამოთვლილი ნივთიერებანი ვიხმაროთ სუროგატათ ადამიანის ორგანიზმის უვნებლათ.

პლ. შუშანია.

წითელ რესპუბლიკებში.

რუსეთში

საგარეო ვაჭრობა.

პეტროგრადი. 18 ივლ. (ტელეგრაფით) პეტროგრადში მოვიდა დანიის დროშით გემი „ტრანოვალი“ სხვა და სხვა ტვირთით. პეტროგრადის ნავთსადგურიდან გავიდა გერმანიის გემი „ადლერი“.

უკრაინა

ოდესაში

ოდესა, 15 ივლ. (ტელ.) ოდესის ნავთსადგურში შევიდა ოსმალეთის გემი „კემალ გულბა“ ნახშირით და სხვა საქონლით დატვირთული. წონით ნახევარი მილ. ფუთი. ამის გარდა ჩამოვიდნენ გემები ლიმონით და პილპილით დატვირთული.

— სერიოზული ყურადღება მიქცეულია ზღვის ტრანსპორტის აღორძინებაზე. გაერთიანებულ თათბირზე ძერჟინსკის თავმჯდომარეობით მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი შავი და აზოვის ზღვის სავაჭრო ფლოტის რემონტის საკითხის შესახებ.

საუწყებათაშორისო თათბირმა პროფ. სმირნოვის თავმჯდომარეობით აღძრა საკითხი დიდი ნავთსაყუდელის ორგანიზაციის შესახებ ოდესაში. საკითხის საბოლოო გადაწყვეტილება გადასდო.

ხმები უთანხმოების შესახებ.

ბრიუსელი. 15 ივლ. ბელგიაზე გავლის დროს, კრასინმა შემდეგი განუცხადა გაზეთ „ლ'ეტუალ ბელჟ“-ის კორესპონდენტს: ყველა ხმა ლენინსა და ტროცკის შორის უთანხმოებათა შესახებ სიცრუეა. რუსეთში ამ ჟამად მშვიდობიანობაა. მთელი ყურადღება მიქცეულია ეკონომიურ აღმშენებლობაზე და დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

სიმინდი მთიელთა რესპუბლიკიდან.

საქართველომ შეკრა ხელშეკრულობა მთიელთა რესპუბლიკასთან ცხენის მოსართველოზე გადაცვლით რომელიც ბლომად მოიპოვება საქართველოში, საქართველოში, საქართველო მიიღებს მთიელთა რესპუბლიკიდან 150 ვაგონ სიმინდს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ნორვეგია.

მღელვარება მუშათა შორის.

პეტროგრადი. 14 ივლ. (ტელეგ.) ნორვეგიის გემთა პატრონთა კავშირმა უარყო სახელმწიფო შუამავლობის წინადადება კონფლიქტის მოსასპობათ გემთა პატრონთა, მემანქანეთა, მეზღვაურთა და მეჩეგართა შორის. ნორვეგიის მუშათა შორის მღელვარება იზრდება.

პოლონეთი.

პოლონეთი ემზადება.

პეტროგრადი. 15 ივლ. (ტელეგ.). „პეტროგრადსკაია პრავდა“ უკეთებს რა ანალიზს პოლონეთის, ლიტვისა და ზემო სილეზიის მოქმედებას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოლონეთი, როგორც ჩანს ემზადება ახალ ავანტიურისათვის უკრაინაზე და ბელორუსეთზე. „პრავდა“ სწერს, რომ უკრაინასა და ბელორუსეთში პოლონეთს შეხვდება არა გერმანიის ჯარი, რომელიც დაკავშირებულია ანტანტასთან, არამედ წითელი ლაშქარი, რომელიც ნამდვილი ძალა და ღირსეულად შეხვდება პოლონელებს საბჭოთა რუსეთი თავის ძმურ რესპუბლიკებთან ერთად მტკიცედ დაიცავს თავის უფლებას მშვიდობიანობაზე, რომელიც 3 წლის ბრძოლის სისხლითაა შეძენილი, დღეს არ დაივიწყონ დიპლომატებმა, რომლებიც აწყობენ თავის შავ-ბნელ გეგმებს პარიზსა და ვარშავაში.

ამერიკა

მოკავშირეთა ვალი

პარიზი. 30 ივლისი (რადიო). ჩრდილოეთ ამერიკის ფინანსთა საქმეთა სტატს სეკრეტარმა მელონმა სენატის საფინანსო კომისიაში მოხსენება გააკეთა იმ ზომების შესახებ, რომლითაც აიძულებენ ევროპას გადაუხადოს თავისი ვალი ამერიკას. ანტანტის სახელმწიფოებს წინადადება მიეცემათ წესიერად გადაიხადონ ვალის გადახდის დრო, სენატმა მიიღო კანონი, რომლითაც ხაზინას რწმუნებულება ეძლევა დაიწყოს მოლაპარაკება მოკავშირეთა ვალის კონსოლიდაციისათვის, რომელიც ხუთი წლის ვადაში უნდა მოთავდეს.

საფრანგეთი.

საფრანგეთის პრემიერის დეკლარაცია

ლიონი. 1 აგვისტო (რადიო) „პტი პარიზიენი“ იუწყება: საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე [illegible] გამოვიდეს საფრანგეთის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ. ამ სიტყვაში პრემიერი შეეხება რუსეთისა და ახლო-აღმოსავლეთის პრობლემებს.

ინგლისი.

ირლანდიის საკითხი.

ნაუენი 1 აგვისტო (რადიო) ლონდონიდან მიღებულ ცნობებით ირლანდიის საკითხი მალე გადასწყდება. დევალერამ ირლანდიის ეროვნულ კომიტეტთან ერთად მიიღო წინადადება ინგლისის მთავრობისაგან თანახმად ამ წინადადებისა, ირლანდიას ენიჭება ავტონომია იმავე საფუძვლებზე, როგორც კანადაშია.

გერმანია

გერმანია და საფრანგეთი

ნაუენი 31 ივლ. (რადიო) საფრანგეთ-გერმანიის გაერთიანებული კომისია შეუდგა საკითხის განხილვას გერმანიასა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესამსუბუქებელ ზომების გამონახვას. გერმანიის მინისტრმა კომისიის სხდომაზე განაცხადა: გერმანია ყოველ შესაძლებლობას ხმარობს თავის ვალდებულებათა შესასრულებლად. მაგრამ სამწუხაროდ საფრანგეთი ამ გარემოებას ხელს უშლის ამას, ვინაიდან საფრანგეთის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებანი გერმანიის ყოველს ცდას ამ ჟამად აჭარბებს.

დემონსტრაცია გერმანიაში.

ლიონი 1 აგვ. (რადიო) გერმანიაში დაიწყო დემონსტრაციების ტალღები და მოითხოვენ მტკიცე ზავის განმტკიცებას. კვირას ბერლინში გაიმართა დემონსტრაცია შესაძლებელ ომის წინააღმდეგ, ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური პარტიები. ორატორები აცხადებდნენ, რომ საფრანგეთი ერთხელ და სამუდამოთ უნდა ომის რევანშის ფიქრის უარყოფა. თუ ჯარში გაიწვევს, მთელმა ხალხმა უარი უნდა განაცხადოს სამხედრო ვალდებულების შესრულებაზე, მუშებმა უარი უნდა სთქვან ქარხნებში მუშაობაზე და ყოველგვარ სამხედრო მასალის გადატანაზე.

ზემო-სილეზიაში

ნაუენი 31 ივლ. (რადიო) პოლონეთის რაზმები პოზნანში ფრანგების დახმარებით აწყობდა ახალ აჯანყებულ ნაწილებს. პოლონეთის ტერორი ზემო სილეზიაში ძლიერდება. პოლონელები და ფრანგები მოლაპარაკებაში შევიდნენ ჩეხო-სლოვაკიასთან, რომელსაც პირდებიან მისცენ ოკუპაციისთვის ზემო სილეზიის ზოგიერთ ნაწილი, რის სამაგიეროდ გერმანიის საზღვრებში თავი უნდა მოუყაროს ჩეხოსლოვაკიის ჯარს. ჩეხოსლოვაკია დათანხმდა და უკვე შეუდგა ჯარის გაგზავნას გერმანიის საზღვრებზე.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.

მცირე აზიაში.

ლიონი. 1 აგვ. (რადიო) კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებით ანატოლიაში თითქმის შეჩერებულია სამხედრო მოქმედებანი. საბერძნეთის შტაბის ცნობით საბერძნეთის ჯარის გადაყვანა შეჩერებულია ფრონტის ხაზის გასასწორებლად.

ხმების უარყოფა.

ბათომი. 2 აგვ. (ტელ.) ოსმალეთის ელჩმა ბათომში კატეგორიულად უარჰყო ხმები ბერძნების მიერ ანგორის დაჭერის შესახებ. ელჩის აზრით, ბერძნები თავის სამარეს თვითონვე ითხრიან: ისინი წინ იწევიან და შორდებიან თავის ბაზას. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ბერძნები აწარმოებენ თავის იერიშებს ოსმალეთის კუთვნილ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიის მცხოვრებნი უმრავლესობას მუსულმანობას შეადგენენ, რომელთაც ეჯავრებათ ბერძნები. უკვე ეხლა ცნობებია მოსული, რომ ბერძნების ზურგში შეუჩერებლივ პარტიზანული აჯანყებები ფეთქდება და პარტიზანული რაზმები მოქმედობს. ეს რაზმები ბერძნებს დიდს ზიანს აძლევს, აფუჭებენ და ანადგურებენ რკინის გზებს და ქარავანს ხელში იგდებენ. ასევე 12 წელში რუსეთში ცნობილმა სარდალმა კუტუზოვმა არჩია შეუჩერებელი უკან დახევა ნაპოლეონის წინაშე, მან მოსკოვიც მისცა იმიტომ, რომ შემდეგში უფრო მოხერხებულად დაემარცხებინა მტერი. ანატოლიის სარდლობა ასევე იქცევა: იგი იტყუილებს ბერძნებს შიდა ქვეყანაში, რათა აქ იგი საბოლოოდ გაანადგუროს. ბერძნები აუცილებლივ განადგურებულნი იქნებიან. ოსმალეთის მთელი ხალხის გაერთიანებული ნების ყოფა მიმართულია ერთ მიზნისკენ: რათა დაამარცხოს მტერი და გაანთავისუფლოს ქვეყანა უცხო ელემენტებისაგან.

საბერძნეთის ფლოტი.

ტრაპიზონი. 28 ივლ. (რადიო) შავ ზღვაში დასცურავს საბერძნეთის სამხედრო ფლოტი. ანატოლიის ზღვის სანაპირო ქალაქებში მიღებულია ზღვიდან მოსალოდნელ სროლის წინააღმდეგ ზომები. ტრაპიზონის მცხოვრებთ გამოუცხადეს, რომ არავინ დასტოვოს ქალაქი უნებართვოთ.

ქრონიკა

სავალდებულო დადგენილება. თბილისის ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილებისა ქალაქ თბილისსა და მის მიდამოებში მიცვალებულთა დაკრძალვის წესების შესახებ. 1. ქალაქ თბილისსა და მის მიდამოებში აკრძალულია მიცვალებულთა სამარხი ადგილის ყიდვა-გაყიდვა, 2. სასაფლაოებთან არსებულ საზრუნველო საბჭოთა ან ამ სასაფლაოს გამგეობა განკარგულებით სასაფლაოებზე მიცვალებულთა დასაკრძალავათ საჭირო ადგილი უნდა მიეცეს ყველას უფასოთ 3. მიცვალებულნი დაიკრძალებიან უბნების სასაფლაოზე, 4. მიცვალებულთა დაკრძალვა ეკლესიებისა და სხვა სამლოცველო სახლების ეზოში აკრძალულია. შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილებას შეუძლია ნება დართოს, როგორც შორეულ სასაფლაოზე, აგრეთვე ეკლესიისა და სხვა სამლოცველო ეზოში მიცვალებულთა დაკრძალვაზე. 5 დამნაშავენი ამ დადგენილების დარღვევისათვის იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში რევოლიუციონური კანონების მიხედვით. 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

◆ **ცხინვალი.** გლეხების განცხადებით სიმინდის მოსავალი ცხინვალის რაიონში კარგი პირი ჩანს.

◆ **პოეტების საღამო.** შაბათს 6 აგვისტოს ქართულ კლუბში გაიმართება დიდი საღამო პოეტების. მონაწილეობს მთელი ლიტერატურული და არტისტიული თბილისი დაწვრილებით აფიშებში.

◆ **სამხატვრო განძეულობის განაწილება.** მთავარ სამხატვრო კომიტეტის თავმჯდომარის გრიგოლ რობაქიძის დავალებით შედგა კომისია სამი სპეციალურ პირებისაგან, რომლებმაც უნდა გაანაწილონ სამხატვრო განძეულობა, რომელიც ინახებოდა მოსკოვის სათეატრო არტელში. ეს მუშაობა ჯერ ჯერობით არ არის დამთავრებული, რადგანაც არ დასრულებულა ქონების აღწერა, რომელიც დანიშნულია გასანაწილებლად.

◆ **შრომის კოლონიები.** სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მოეწყოს შრომის კოლონიები ინვალიდებისათვის. ამისათვის გამოყენებულ იქნეს მონასტრები. ასეთი კოლონიების ორგანიზაცია დაიწყოს ბოდბის მონასტრიდან, ამ კოლონიის ხელმძღვანელობა მიენდო ამხ. ბეგიაშვილს.

◆ **ამერიკელთა წარმომადგენლების ჩამოსვლა.** 3 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდენ თითქმის ყველა შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ამერიკელთა წარმომადგენლებს მიზნათ აქვთ გაეცნონ ფართოთ მას თუ როგორ აქვს ამერიკელ კომიტეტს დაყენებული საქმე მახლობელ აღმოსავლეთის დახმარებისა. 4 აგვისტოს მთელი დელეგაცია ფიქრობს კოჯორში წასვლას, სადაც მას სურს გაიცნოს საბავშო კოლონია, რომელიც შიგ მოწყობილია გეორგიევის სასადილო ამერიკელ კომიტეტისა. კოჯორიდან ამერიკელი დელეგატები გაემგზავრებიან სოფ. კაქეთში, სადაც არის კოლონია [illegible] საბავშო სასადილოს ამერიკის კომიტეტის მიერ მოწყობილი საქართველოში საქმის დაყენების გაცნობის შემდეგ ამერიკელი წარმომადგენლები გაემგზავრებიან სომხეთში, სადაც იქაც გაეცნობიან დახმარების საქმის დაყენებას.

◆ **ერთდროული დახმარება.** სოციალურ უზრუნველყოფის

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 124)

დიდი თ საგულისხმოა კიდევ შემდეგი გარემოებაც.

როდესაც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ჩვენ ვეკამათებოდით ა. ხ. ბუხარინს, მან სხვათა შორის სთქვა: დიდი ჯამაგირების დანიშვნის საკითხში, ჩვენ ლენინზე „მემარჯვენე“ ვართ, ვინაიდან გვახსოვს რა მარქსის ნათქვამი, აქ ჩვენ ვერა ვხედავთ პრინციპების დარღვევას. მარქსი კი ამბობდა: ზოგიერთ შემთხვევაში ყოვლად მიზანშეწონილი იქნება, თუ მუშათა კლასი „თავს გამოისყიდის“ ავაზაკთა ბრბოისაგან (დახ. ავაზაკთა ბრბოისაგან—კაპიტალისტებისაგან, ე. ი. გამოისყიდის ბურჟუაზიისაგან მიწას, ფაბრიკებს, ქარხნებს და წარმოების სხვა საშვალებათ).

ეს მეტის მეტად საყურადღებო შენიშვნაა.

ჩაუკვირდეთ მარქსის აზრს:

საქმე ეხებოდა წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლების ინგლისს, მონოპოლიამდე არსებულ კაპიტალიზმის [illegible] ხანას იმ ქვეყნისას, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო ომით გატაცება და ბიუროკრატიზმი. საქმე ეხებოდა იმ ქვეყანას, სადაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა იყო სოციალიზმის „მშვიდობიანი“ „გამარჯვებისა“, მუშების მიერ ბურჟუაზიისაგან თავის გამოსყიდვის აზრით და მარქსი ამბობდა,—რომ ზოგიერთ შემთხვევაში მუშები სრულიადაც არ იტყვიან უარს ბურჟუაზიის გამოსყიდვაზე. მარქსს ძალიან კარგად ესმოდა, რომ რევოლიუციის დროს ძალიან ხშირად და უცბად იცვლება ხოლმე საქმეთა ვითარება, იბადება ათას გვარი პრობლემა და მრავალფეროვანდება გადატრიალების თვით მსვლელობა. ამიტომ იგი არც თვითონ იკრავდა ხელ ფეხს და არც მომავალ მოღვაწეებს უშლიდა მიემართნათ იმ ფორმისა, ხერხისა და საშუალებათათვის, რომელთაც საჭიროდ დაინახავდენ.

და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და სამხედრო და საბოტაჟურ წინააღმდეგობის დამარცხების შემდეგ საბჭოთა რუსეთში, განა ცხადი არ არის, რომ ზოგიერთი პირობა სწორედ იმ ტიპისა შეიქმნა, როგორიც შეიძლებოდა შექმნილიყო ინგლისში ამ ნახევარ საუკუნის წინად, თუ რომ ინგლისი მშვიდად დაიწყებდა სოციალიზმის განხორციელებას? კაპიტალისტების დამორჩილება მუშებისადმი შეიძლებოდა მაშინ უზრუნველყოფილი ყოფილიყო შემდეგი გარემოებით: 1) იმ დროს ინგლისში გლეხობა არ იყო და მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენდნენ მუშები და პროლეტარები (70 წლებში ინგლისში ისეთი ნიშნები იყო, რომლებიც იმედს გვაძლევდა, რომ განსაკუთრებით სწრაფათ მოიკიდებდა ფეხს სოციალიზმი სოფლის მუშებს შორის) 2) ჩინებულად იყო მოწყობილი მუშათა პროფესიონალური კავშირების ორგანიზაცია (ამ მხრივ ინგლისი პირველი ქვეყანა იყო დედამიწის ზურგზე) 3) პროლეტარიატი, შედარებით, მეტად კულტუროსანი და გაწვრთნილი იყო, რადგანაც აქ საუკუნოთა განმავლობაში სრული პოლიტიკური თავისუფლება არსებობდა 4) ინგლისის კაპიტალისტები შესანიშნავათ იყვნენ შეკავშირებული ამ მხრივ იმ დროს ინგლისი უპირველესი ქვეყანა იყო (შემდეგში უპირატესობა მიეცა გერმანიას) და კომპრომისის საშუალებით ადვილად შეეძლოთ პოლიტიკურისა, თუ ეკონომიურ საკითხების გადაჭრა. აი თუ რომელი გარემოების გამო შეიძლებოდა გვეფიქრა ინგლისის კაპიტალისტების მშვიდობიან დამორჩილების შესაძლებლობაზე თავის ქვეყნის მუშებისადმი.

ჩვენში ეს დამორჩილება ამ ჟამად უზრუნველყოფილია ცნობილ, კონკრეტულ წინასწარი პირობებით. (ოქტომბრის გამარჯვება და ოქტომბრიდან თებერვლამდე სამხედრო და საბოტაჟურ წინააღმდეგობათა დამარცხება). ჩვენში, მცხოვრებთა შორის მუშების, პროლეტარების საჭიროებისა და მათი მტკიცეთ შეკავშირების მაგიერ, გამარჯვების უმთავრეს ფაქტორად შეიქნა ღარიბისა და სწრაფად გაღარიბებული გლეხკაცობის მხარის დაჭერა პროლეტარებისადმი. დასასრულ, ჩვენ არა გვაქვს არც მაღალი კულტურა და არც დაჩვეული ვართ კომპრომისებს. კარგად რომ ჩაუფიქრდეთ ამ კონკრეტიულ პირობებს, ნათლად დავინახავთ, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევეცადოთ შევაერთოთ ლონისძიებანი და დაუზოგველი ბრძოლა უკულტურო კაპიტალისტებთან, რომლებიც არავითარ კომპრომისზე წასვლას არ ჰფიქრობენ „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის“ შესაქმნელად პირიქით სპეკულიაციის, ღალატების მოსყიდვით და სხვ. ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ლონისძიებათ, კომპრომისულ ლონისძიებასთან ან თავის გამოსყიდვასთან კულტურულ კაპიტალისტებისაგან, ვინაიდან ისინი წინააღმდეგნი არ არიან „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა“ და ნიჭიც და უნარიც შესწევთ მის განხორციელებით. გარდა ამისა ეს კაპიტალისტები, როგორც ნიჭიერი ორგანიზატორები, დიდებულად მოუვლიან იმ უდიდესს სამრეწველოებს, რომელთაც შეუძლია მიაწოდონ ყოველგვარი საკმაო საქონელი მილიონ და მილიონ ხალხს.

ბუხარინი მშვენივრად განათლებული მარქსისტი-ეკონომისტია და ამიტომაც გაიხსენა, რომ მარქსი სავსებით მართალი იყო, როცა მუშებს ურჩევდა უდიდეს სამრეწველოების მოწყობას, როგორც საუკეთესო საშუალებას სოციალიზმის ადვილად დამყარებისათვის და ასწავლიდა, კარგი სასყიდელიც მიეცათ კაპიტალისტებისათვის თავის გამოსყიდვაში, თუ ვინიცობაა ინგლისის მთავრობა უზრუნველყოფდა კაპიტალისტებს მშვიდობიანობისა და კულტურულის გზით დამორჩილებოდნენ მუშებს, ორგანიზაციულად გადასულიყვნენ სოციალიზმში და შესაფერი სასყიდელიც მიეღოთ. ეს იქნებოდა გამონაკლისი. ინგლისი იმ დროს, საზოგადოდ, გამონაკლისი იყო.

მაგრამ ბუხარინი შეცდომაში ჩავარდა, ვინაიდან კარგად ვერ გაითვალისწინა წინა დღეს რუსეთში არსებული მომენტი, ის განსაკუთრებული მომენტი, როცა ჩვენ, რუსეთის პროლეტარიატი, ჩვენის პოლიტიკურის წესწყობილებათა და მუშათა-გლეხთა მიერ ძალაუფლების ხელში აღებით ბევრათ წინ ვართ ყოველივე ინგლისსა და გერმანიაზე და ამავე დროს ბევრით ჩამორჩენით დასავლეთ ევროპის უკანასკნელ ქვეყანასაც კი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის მოწყობის საქმეში კულტურის სინამდვილეში, მატერიალურ საწარმოვო ძალთა მოსამზადებლათ სოციალიზმის „შემოღებისათვის“, განა ცხადი არ არის, რომ დღევანდელ მომენტის ასეთ თავისებურ მდგომარეობიდან გამომდინარეობს იმ თავისებურ „სასყიდელის“ საჭიროებაც,“ რომელიც უნდა შესძლიონ მუშებმა იმ განათლებულ, ნიჭიერსა და ორგანიზატორობის უნარიან შემქნელ კაპიტალისტებს, რომლებიც მზად არიან შევიდნენ საბჭოთა სამსახურში და პატიოსნად იმუშაონ მსხვილი და უმსხვილესი საწარმოო დაწესებულებანი სახელმწიფოსი? განა ცხადი არ არის, რომ ასეთს თავისებურ მდგომარეობაში ჩვენ უნდა ვეცადოთ ორგვარ შეცდომების თავიდან აცილებას, რომლებიდანაც თითოეული წვრილბურჟუაზიული? ერთის მხრივ გაუსწორებელი შეცდომა იქნებოდა გამოგვეცხადებინა, რომ რაკი ჩვენი ეკონომიური „ძალა“ არ შეეფერება ჩვენს პოლიტიკურ ძალას, „მაშასადამე“ ძალა-უფლებაც ხელში არ უნდა აგვეღო. ასე მსჯელობენ ადამიანები „ფუტლიარში“, რომელთაც ავიწყდებათ, რომ „შეფარდება“ არ იქნება არასოდეს, რომ იგი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარებაში, ისე როგორც არ არის ბუნების განვითარებაში, რომ ძლევამოსილი სოციალიზმი იქმნება მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტართა თანამშრომლობით და იმ ათასგვარი ცდით, ცალ ცალკე აღებული რომელიც ცალმხრივი და უთანადო, შეუფერებელი იქნებოდა.

მეორე მხრივ, თვალსაჩინო შეცდომას ჩავიდენდით მაშინაც, თუ ნებას მივცემდით მყვირალებსა და ენაჭარტალებს „ლამაზ-ლამაზი“ სიტყვებით თავის რევოლიუციონერობის შესახებ, მოეხიბლეთ ვინმე იმ დროს, როცა თვითონ [illegible], დინჯი, ანგარიშიანი და თანდათანობითი რევოლიუციონურ შრომის უნარი არა აქვთ.

საბედნიეროდ, რევოლიუციონურ პარტიებისა და ბოლშევიკების მთელი დიდი ბრძოლის ისტორიამ სამუდამოდ დაგვიტოვა ზედმიწევნით ჩამოყალიბებული ტიპები, რომელთაგანაც ესერებმა და ანარქისტებმა უკვე თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ მეტის მეტი გლახა და საჭყარი რევოლიუციონერები არიან. ისინი დღესაც პირზე დორბლ მორევით გაჰკივიან „მემარჯვენე ბოლშევიკების“ „შემთანხმებლობის“ წინააღმდეგ მაგრამ ის კი ვეღარ მოუფიქრებიათ უბადრუკებს, თუ რითი იყო ცუდი და რისთვისაა დაგმობილი ისტორიის მიერ „შემთანხმებლობა“. კერენსკის დროინდელი შემთანხმებლობა ძალაუფლებას უტოვებდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ხოლო, საკითხი კი ძალაუფლების შესახებ რევოლიუციის ძირითადი საკითხია. ბოლშევიკთა ხელისუფლების შემთანხმებლობას კი 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ან იმისი ეშინოდა, რომ პროლეტარიატს უდროოდ არ აეღო ხელში ძალა-უფლება, ან უნდოდა თავიანთ ხელის-უფლება თანასწორად გაენაწილებინა არა მარტო არასაიმედო თანამგზავრებისთვის, როგორც იყვნენ მემარცხენე ესერები, არამედ თავის მტრებისათვისაც, (ჩერნოვის მიმდევრები და მენშევიკები) რომლებიც აუცილებლად ხელს შეგვიშლიდენ ისეთ უმთავრესს საქმეებში, როგორიც იყო: გარეკვა დამფუძნებელი კრებისა, ბურჟუების შეუბრალებელი განადგურება, საბჭოთა დაწესებულებების სრულიად გატარება და თითოეული კონფისკაცია.

ახლა ძალაუფლება ხელში აქვს და მოგვარადაც უპყრავს იგი ერთის პარტიას, პარტიას პროლეტარებისას, „არასაიმედო თანამგზავრთა“ დაუხმარებლადაც კი. მაშასადამე, ლაპარაკი ახლა შემთანხმებლობაზე იმ დროს, როცა ხელისუფლების განაწილებისა და პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის სასარგებლოთ დიქტატურაზე ხელის აღების შესახებ კრინტის დაძვრაც კი აღარ შეიძლება, იმას ნიშნავს, რომ კაცმა კაჭკაჭივით იმეოროს ზეპირად დასწავლილი, მაგრამ მისთვისვე გაუგებარი სიტყვები. ხოლო ის, ვინც ჩვენს მოქმედებას: კაპიტალიზმისაგან გაწვრთნილ, განსწავლულ და კულტურიან ელემენტების მოპატიჟება სახელმწიფო სამსახურში წვრილ-მესაკუთრეობის ნგრევის წინააღმდეგ, როცა იმ მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ ქვეყნისა და კიდევაც უნდა ვმართოთ იგი, „შემთანხმებლობას“ ეძახის, მეტად უვიცი ყოფილა სოციალიზმის აღმშენებლობის ეკონომიურ საკითხებში.

ნ. ლენინი,

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისარიატმა დაადგინა. საზოგადოებრივ მოღვაწეთა უზრუნველყოფისათვის დაწესდეს ერთდროული დახმარების მაქსიმუმი, რომელიც უდრის 300,000 მანეთს.

ყოველთვიური დახმარების მაქსიმუმი კი განისაზღვრება ორასი ათასი მანეთით (200,000).

— ქ. ბორჯომში. ქ. ბორჯომში 15 ივლისიდან გაიხსნა კლუბი წითელ ახალგაზრდობისა, სადაც შედან შემდეგი წრეები: ქართული, რუსული სომხური დამატებული პოლიტიკური ლიტერატურული მუსიკალური წრეები და მომღერალთა გუნდი, აგრეთვე არის ქართული ენის შესასწავლებელი წრე მოხუცი რუსი წითელ არმიელთათვის; მეც დანიშნა წრეებზე სწარმოებს სისტემატიურათ განზრახულია კლუბების გახსნა ქვეყ რაიონებში როგორიც, არის ბაკურიანის, წაღვერის და გუჯარეთისა.

ტა გაიმართა დახელოვნებულ[illegible]თა მონაწილეობით.

ბაქოს ბალეტის გასტროლები

ტფილისში ჩამოვიდა ბაქოს ბალეტის ბალეტმეისტერი პეტერბურგის ბალეტის ყოფილი ხელოვანი პატარა [illegible], ხუთშაბათს, აგვისტოს 4 ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება ბალეტ-საღამო „ცეკვის ევოლიუციის სახელით ამხ. ნოვიკოვის დადგმით.

ცენტრალური მუშათა კლუბი

ამ კლუბის დრამატიული სტუდია ამზადებს დასადგმელ ახალ პიესას „კატასტროფა".

ა. მორდკინის გასტროლები

ტფილისში მიიღეს ცნობები, რომ საგასტროლოდ წასული მ. მორდკინი რომელსაც თან ახლავს სახელმწიფო ბალეტი, სახადით ავად გამხდარა. წრე ამ ჟამად ბათუმშია, სადაც აპირებს ბალეტის დადგმას.

დახმარება ხელოვანთ

საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მიეცა ერთდროული დახმარება შემდეგ პირებს: მსახიობ ა. შოთაძეს 300,000 მანეთი, კომპოზიტორ ყარალაშვილს 300 000 მან. მიხ. ჩირქეზიშვილს 300,000 მ, კ. მესხის ქვრივს 300,000 მან. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ დაენიშნა მოსე ჯანაშვილს და ეკ. გაბაშვილისას 200000 მან. თვიურად, ილ. ჭავჭავაძის ქვრივს 100,000 მან. თვიურად, მწერალ განდეგილს 200,000 მანეთი ერთდროულათ.

სამხატვრო კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა

მთავარ სამხატვრო კომიტეტმა წარუდგინა დასამტკიცებლად აკადემიურ ცენტრს შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა 1921 წ და 22 წ. მთავარ სამხატვრო კომიტეტის შესანახათ საჭიროა 40 მილიონი და 940 ათასი მანეთი, სახელმწიფო თეატრისათვის 2.600.000 000 სახელმწიფო დრამატიული თეატრისათვის 1513000000 კამერულ თეატრისათვის 172000000 მანეთი, ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 4.325 940.000.

პარტიული ცხოვრება

ორკვირეული

ქალაქ თბილისის პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ.

(დასასრული)

ამხ. სერგო შეჩერდა უკვე გაერთიანებულ ამიერ-კავკასიის რკინის გზების დახასიათებაზე, შეეხო აქ ამის გამო ქართველი ნაციონალისტების მიერ ატეხილ განგაშს, აყენებულ კორიანტელს და იკითხა: რა არის მერე აქ საგანგაშო? საკვირველი?— ჩვენ გავაერთიანეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზები, ჩვენ დავუმორჩილეთ იგი ერთ გამგებლობას, ერთ ადმინისტრაციას, ვინ არ იცის, რომ მეურნეობის გაძლიერება არ ითმენს ნაციონალურ ჩარჩოებს; მისი განვითარება თხოულობს სახელმწიფოებრივი საზღვარ-კედლების გადალახვას. აი მხოლოდ ამ ეკონომიური მიზნით მოხდა ეს გაერთიანება, რაც ჩვენი ეკონომიური წარმატებისაკენ არის მიმართული, რაც გვაძლიერებს ჩვენ და არა გვასუსტებს; ეკონომიური გაძლიერება კი ამავე დროს გაძლიერებაა პოლიტიკურადაც. ეს კი, რა თქმა უნდა ჩვენს მტრებს და ორგულებს არ იამა, არც უნდა იამოს, რადგან ეს ჩვენ გვამაგრებს, გვამტკიცებს.

... ზედმეტია ამხანაგებო ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველო ვერ იარსებებს უაზერბეიჯანოთ, აზერბეიჯანი ან სომხეთი უსაქართველოთ, — ე. ი. ხსენებული პატარა სახელმწიფოები ცალკე უერთმანეთოთ. საქართველოს არ შეუძლია ბაქოდან უნავთობოთ იცხოვროს, ხოლო აზერბეიჯანმა ან სომხეთმა გვერდი აუხვიოს ჩვენს დეპოს, არ ისარგებლონ მით მთელს კავკასიაში ერთად ერთ კარგათ მოწყობილ თბილისის მთავარ რკინის გზის სახელოსნოთი. მაგრამ მაინც ყვიროდენ, და ყვირიან ეხლაც ჩვენი მტრები: „უყურეთ, მიაქვთ ყველაფერი მოსკოვში, და სხ.

ამხანაგებო! როგორც ეს ბევრ თქვენთაგანს ეცოდინება, ამ ახლო ხანებში უნდა მოეწყოს შესაფერი მუშაობის გეგმა საქართველოს საელექტროფიკაციოთ, რომელიც ეკონომიურათ მჭიდროთ არის დაკავშირებული მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკებთან, რომელთანაც თანხმობითი საერთო მუშაობა ჩვენ მოგვცემს წარმატებას. და ყოველივე ეს სხვა დადებითი მხარეებთან ერთად მოგვცემს იმასაც, რომ მეზობელ სახელმწიფოებთა შორის მენშევიკების მიერ გათხრილ ორმოს ამოვავსებთ, წავშლით მათ მიერ შექმნილ ეროვნულ შუღლს, სიძულვილს.

ამხანაგებო! დღეს ჩვენი პარტიის წინაშე სდგას ეს მეტად, მეტად დროთ გაერთიანება-შეკავშირების საკითხი; ეს არის დღეს ჩვენი პარტიის ამოცანა. ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენი პარტია, კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ძალა რომელმაც არ იცის არავითარი ნაციონალური კედლები, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი სახელმწიფოებრივი საზღვრები ხელის შემშლელად მოვლენილი მისი და მეზობელ პროლეტარულ სახელმწიფოებთან შეკავშირებისა.

ამხ. სერგო აქ გადავიდა გაერთიანების დეტალებზე, მოიყვანა მრავალი მაგალითები — თუ როგორ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს ეს და დაასკვნა:—.. და აი როცა ჩვენ შევქმნით ეკონომიურ გაერთიანებულ ამ ორგანიზაციებს, მაშინ დაიბადება კითხვა პოლიტიკურად გაერთიანებისაც.. მე ვფიქრობ ამხანაგებო, რომ ასეთი გაერთიანება სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს ნაციონალურ აღორძინებას, პირ იქით, ეს ძლიერ საჭირო და აუცილებელიც არის უკანასკნელის მისაღებად.. განა შეუძლია ურუსეთოდ საქართველომ ან აზერბეიჯან სომხეთმა დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა?! რა თქმა უნდა არა. და ეს იმიტომ, როცა დაინახავენ გარეშე იმპერიალისტური სახელმწიფოები, განმარტოებული ვართ, არ არის მათი მტერი—დიდი პროლეტარული რუსეთი. ჩვენთან ჩაერევიან ჩვენ სახელმწიფოებრივ საქმეებში, შესაფერი წინააღმდეგობის გაწევას კი ჩვენ ვერ შევძლებთ. აი ეს გვკარნახებს ამხანაგებო საბჭოთა ყველა რესპუბლიკების გაერთიანებას... აქედან გამოსული ყველა კომუნისტები შემოსძახებენ: — გაერთიანებული მოუდრეკელი საბჭოთა რესპუბლიკებს! მაგრამ ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქო ამით ვარღვევდეთ უფლებებს ეროვნული თვით გამორკვევისას, ვბღალავდეთ ნაციონალურ „მეს" ნაციონალურ თავისუფლებას, რაც მტრებს მისცემს საზრდოს და არ არის ჩვენთვის მისაღები როგორც პრინციპიალურის მოსაზრებით ისე პრაქტიკულის.

გაუმარჯოს ამხანაგებო გაერთიანებულ საბჭოთა რესპუბლიკებს! (ხანგრძლივი აპლოდისმენტი) მუსიკის მიერ შესრულებული იქმნა ინტერნაციონალი.

შემდეგ ილაპარაკა ამავე თემაზე ქართულად ამხ. შალვა ელიავამ. არსებითად ამხ. შალვას სიტყვის შინაარსიც იგივე იყო რაც ამხ. სერგოსი. მან მოიყვანა მრავალი მაგალითები გაერთიანების საჭიროების დასამტკიცებლად და იკითხა:—რატომ უნდა ვლაპარაკობდეთ ამაზე ჩვენ კომუნისტები? განა გაერთიანება პროლეტარული ძალების ახალი ან საკვირველი არის ჩვენთვის?! განა არის კი სხვაგან ისეთი სახელმწიფოები რომლებიც უკავშიროდ, უერთმანეთოდ არსებობდეს?! არც ერთს ამ გასაერთიანებლად მოწოდებულ სახელმწიფოებს არ ჰქონებია როგორც საკუთარი სახელმწიფოებრივი აპარატი, ისე საკუთარი ფინანსიური და ეკონომიური სისტემა... ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ესენი შემდეგშიც არ ჰქნება, მაგრამ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სანამ ასე არის იგი, განმარტოვებულად ეკონომიურად დამოუკიდებლად ვერ იარსებებს...

აქ ამხ. შალვა გადავიდა მენშევიკების დახასიათებაზე, რომლებმაც „დამოუკიდებლობის" ნიღაბის ქვეშ ეშმაკურად იბატონეს სამწელიწადნახევარი... საქართველო იყო დამოუკიდებელი სიტყვით მენშევიკების კალმის წვერით, საქმით კი იგი დამოკიდებული და მონამორჩილი იყო მშრომელი ხალხის უსაშინელეს მტრების ევროპის იმპერიალისტების — დაასკვნა მან.

აქ ამხ. შალვა შეეხო სამხედრო ფრონტების მოშლას, ზავს, დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობებს და სთქვა: ზავი ჩვენ შორის, არ არის ეს სადავო საგნების წაშლით, და ქვეყნის განწყობილების დასამყარებლად გამოწვეული; ჩვენი ზავი, სავაჭრო ხელშეკრულება, ეს ერთი მეორის შეჯიბრება არის მხოლოდ, და ეს არ ნიშნავს სრულებით იმას, რომ ხვალ ან ზეგ ომი არ მოგვიხდეს... და აი ამ მტრებს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანებული არიან შეგვძლიან განა ჩვენ ცალ ცალკე გაუმკლავდეთ!..

მაშ გაუმარჯოს ამხანაგებო ერთ გაერთიანებას! (აპლოდისმენტი) მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი.

დასასრულ იყო ბარათებით მოცემული შეკითხვები, რომლებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. აქ შემდეგ დღის წესრიგის მიხედვით „ნაციონალურ საკითხის შესახებ" უნდა ელაპარაკა ამხ. მამია ორახელაშვილს, მაგრამ რახან გვიანი იყო, კრების სურვილისამებრ შემდეგისთვის გადაიდო.

კრება დაიხურა ღამის 10 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

ხივახტი.

თეატრი და ხელოვნება

მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებაში.

მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებასთან დაარსდა ახალი კომისია თვით თავმჯდომარის ამხ. დადიანის მეთაურობით მთელ რიგ საკითხების გამოსარკვევად, რომელიც დაკავშირებულია მთავარ პოლიტ. განათლების გამგებლობაში გადასულ თეატრების ორგანიზაციასთან. კომისიას ევალება სასწრაფო რეორგანიზაცია თეატრალურ საქმისა საქართველოში, რომელსაც აქვს საგიტაციო ხასიათი და საორგანიზაციო გეგმის შემუშავება თეატრების სამართველად.

მთავარ პოლიტიკ. განათლების რევოლიუციონური თეატრი.

უახლოეს დღეებში ყოფილ სახელოსნო კლუბში მთავარი პოლიტიკ. განათლების განყოფილება ხსნის რევოლიუციონურ თეატრს რუსული, ქართული და სომხური სექციებით.

— მთავ. პოლიტიკურ განათლების განყოფილებამ მიიღო ზომები ოპერის წრის შესაქმნელად აგიტაციური წარმოდგენების დასადგმელად, ეს მუშაობა ამ ნაირად უკვე დაიწყო.

თეატრების ინსტრუქცია

მთავარ პოლიტ. განათლ. განყოფილებასთან არსებულმა საგიტაციო თეატრების მმართველმა კოლეგიამ გეგმა გამოიმუშავა თეატრალურ საქმის ნორმალურად დასაყენებლად ტფილისსა და პროვინციაში, სერიოზული ყურადღება მიქცეულია პროვინციალურ თეატრების ინსტრუქციაზე და საგიტაციო—რევოლიუციონურ რეპერტუარის შედგენაზე.

— ამ განყოფილებასთან დაარსდა სარეპერტუარო სექცია საგიტაციო რეპერტუარის შესადგენად, რომელსაც დავალებული აქვს მოკლე ხანში გადმოთარგმნოს რეპერტუარი და ახალი ლიტერატურული ძალები ჩააბან ახალი რეპერტუარის შესაქმნელად. ამ დღეებში ფიქრობენ მთელი რიგი კონკურსი გამოაცხადონ საგიტაციო პიესებზე.

ლენინის სახელობის კლუბი.

გუშინ, აგვისტოს 3 ავლაბარში ზეიმით გაიხსნა კლუბი ლენინის სახელობაზე მუშებისა და წითელ არმიელთათვის. გახსნისას საზეიმო კონცერ-

პროვინციაში.

ოზურგეთის მაზრის თემთა რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა.

(დასასრული იხ. „კომ." № 125)

22. ჯუმათის თემის რევკომიდან ქრისტეფორე ტაკიძე

დაწყნარებულია რევოლიუციონური წესრიგი. მენშევიკებმა განიზრახეს ხელის შეშლა ყოველგვარ მუშაობაში, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოთ ჩატარდა. იყო კვირაობა ორჯერ. არსებობს აფთიაქი, სკოლები და სხვა. პარტიას და რევკომს შორის კარგი განწყობილებაა. ხალხი კარგი თვალით გვიყურებს.

23. ნიგვზიანის თემის რევკომიდან დიომიდე ღლონტი.

წესრიგი აღდგენილია პარტია ძლიერ სუსტია. გზები კეთდება. სკოლები მოითხოვს შეკეთებას.

24. ზემოხეთის თემის რევკომიდან ალექსანდრე კოტრიკაძე.

ზემოხეთი, ამბობს მომხსენებელი, ეს ღარიბი თემია, არ არის სიმინდი მოსამსახურეები დაუკმაყოფილებელია პარტია არის, 29 წევრია და 120 კანდიდატი. მოეწყო შაბათობა ორჯერ. მენშევიკები ეწევიან ათასგვარ პროვოკაციას, მაგრამ გასავალი ხალხში ნაკლებათ აქვს. უწევთ დახმარებას ქვრივ-ობლებს, რამოდენიმეს დაუთესეს ყანები. ლიტერატურას ვერ გვაწვდიან. მოეწყო რამოდენიმე მიტინგი.

25. საჭამია-სერის თემის რევკომიდან ამბროსი ზაქარეიშვილი.

საჭამია სერზე ყოველგვარი კულტურული დაწესებულებაა. რევკომს ხალხში კარგი გავლენა აქვს. წესრიგი დამყარებულია. პარტიული მუშაობა შეფერხებულია რაიონის გადაჯგუფების გამო. პარტიის წევრი ორმოცია და ორმოცი კანდიდატი. იყო შაბათობა ორჯერ. საჭიროა გზის გაკეთება.

26. ხრიალეთის თემის რევკომიდან ისტატე თოხაძე.

არსებობს სახალხო სახლი, მოითხოვს დამთავრებას, სკოლები და სხვა.

შეაკეთეს გზა. ხალხში კმაყოფილებაა.

27. ძიმითის თემის რევკომიდან ვარლამ კილაძე.

ძველათ ეს თემი მენშევიკების ბუდე იყო, დღეს კი იმათ ნაკლებათ აქვთ გავალი. გვყავს სამოცი შეიარაღებული პარტიის წევრები.

სიმინდი არა გვაქვს. მილიციონერებს მივეცით ნასესხები სიმინდი. წარმოდგენები იმართება, ინტელიგენტური ძალები საკმარისია.

28. ცვარბეთის თემის რევკომიდან თავმჯდომარე ხინცლია.

მთავრობას ხალხი ნდობის თვალით უყურებს. პარტკომს და რევკომს შორის დამოკიდებულება კარგია. პარტიაში ირიცხება 120 პარტიის წევრი. რვა სკოლაა, ყველა მოითხოვს შეკეთებას არის აფთიაქი და საფერშლო პუნქტი. სიმინდი არ იშოვება. კოოპერატივები რვაა, მაგრამ უმოქმედობენ.

29. ნატანებიდან პოლიტიკური კომისარი სიო დანელია. ხალხი ნდობით უცქერის მთავრობას. პარტიის და ჩვენს შორის კარგი დამოკიდებულებაა მოვაწყვეთ შაბათობა, შევაკეთეთ ნატანების გზა და ხიდები. სიმინდი ბლომ არის, ვინაიდგან ყველაზე მეტი ნატანებიდან გაქონდათ წითელ ჯარს. პარტიულ მუშაობას, რაიონებათ გადაჯგუფება ძლიერ ხელს უშლის.

30. შემოქმედის თემის რევკომიდან ქრისტეფორე ვასაძე.

პარტიაში მუშაობა საშვალოა. ადმინისტრაცია ცოტა მოისუსტებს. თხილის მოსავალი კარგია. შემოქმედის თემში დაახლოვებით წრეულს მოვა 80 ვაგონამდე თხილი. ექიმების ნაწილის შემოქმედი ცუდ მდგომარეობაშია.

31. ჯურუკვეთის თემის რევკომიდან კოწია ხოფერია.

პირველად მოახდინეთ განიარაღება არა საიმედო პირების. პარტია კარგ ნიადაგზე სდგას. პარტიას და რევკომს შორის იყო ცოტა უთანხმოება მაგრამ დღეს კარგია. რევკომში არის სამი წევრი და 5 მილიციონერი. არის სკოლები, რომლებიც საჭიროებენ შეკეთებას. კოოპერატივები არის, გამგეობაში არიან მომხდარი კომუნისტები.

32. სამხრის თემის რევკომიდან კოწია ბაჯანაძე, ხალხი კარგი თვალით გვიყურებს. საერთო მდგომარეობა კარგია, პარტიას და რევკომს შორის არ იყო კარგი დამოკიდებულება, მაგრამ დღეს დარწმუნებული ვართ, რომ გამოსწორდება.

33. ასკანის თემის რევკომიდან პროკოფი გუბაძე, მიტინგი მოვაწყვეთ სამჯერ, პარტიაში ირიცხება 25 წევრი და 50 კანდიდატი. პარტიას და რევკომს შორის კარგი დამოკიდებულება. ხდება აღრიცხვა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა. არის აფთიაქი, ფოსტა სკოლები და სხვა. სკოლები საჭიროა შეკეთდეს.

34. ზუხუთის თემის რევკომიდან არისტო ქ ქალეიშვილი.

გავაკეთეთ გზები, იმართება შაბათობა და კვირაობა, ვამუშავებთ წითელი არმიელების ყანებს, გვეხსნება აფთიაქი, სადილაქო, ჯილდოთ მილიციონერებს ხარჯი. პარტიულ მუშაობას არაუშავს.

35 ზემო თავიურების თემის რევკომიდან სილოვან ბარამიძე.

პარტია არის სუსტი. იარაღის ყრა სანახევროდ ჩატარდა. მიტინგი იყო ერთხელ. პარტიული ძალების სისუსტეა. სკოლები მოითხოვს შეკეთებას. ზემო თავიურებს აუცილებლათ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვინაიდგან იქ არ არის პარტია ძლიერი.

36. ბახვის თემის რევკომიდან რაჟდენ დოლიძე. არსებობს ყოველგვარი კულტურული დაწესებულებები. პარტიის და რევკომს შორის დამოკიდებულება კარგია.

არსებობს კოოპერატივები, მაგრამ უმოქმედობა ჩანს. საჭიროა თბილის მიექცეს ყურადღება.

37. ნაგომრის თემის რევკომიდან კირილე უჯმაჯურიძე.

რევკომი არჩეულ იქმნა პარტიის მიერ. პარტიის წევრი 35, და მთავრობას ნდობის თვალით უყურებს ხალხი. მიტინგი იყო სამჯერ კულტურული დაწესებულებები, ბევრია, საჭიროა მეტი მუშაობა. ტრანსპორტი არ არის.

38. ლანჩხუთის რევკომიდან კონსტანტინე ცინცაძე. მოხდა იქ ჯარის განიარაღება დემობილიზაციის დროს. არის მრავალი კულტურული დაწესებულებები, გვყავს 16 მილიციონერი. მოსამსახურენი არ არიან დაკმაყოფილებული. მოეწყო მიტინგები. პარტიას და რევკომს შორის კარგი დამოკიდებულებაა. საჭიროა ცენტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს პროვინციებს.

39. ჯვარცხმის თემის რევკომიდან ქრისტეფორე მელუა.

ჯვარცხმის თემში 400 კომლია. არსებობს სკოლა და კოოპერატივი პარტია სუსტია.

40. შუკნარის თემის რევკომიდან პოლიექტორ ღლონტი.

თემში 180 კომლია. პარტია სუსტია. მოეწყო შაბათობა და შეკეთდა გზა.

2 ეკონომიურ კრიზისზე და მასთან ბრძოლაზე მოხსენებებს აკეთებს სამაზრო რევკომის წევრი და სახმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თეოფილე ჩიჩუა, რომლის მოხსენების შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ. ანდრო დოლიძე, რომელიც არკვევს სხვა და სხვა პრაქტიკულ კითხვებს.

შემდეგ შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული:

ოზურგეთის მაზრის თემის რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ეკონომიურ კრიზისის შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1. ეკონომიურ კრიზისის და სიძვირის უმთავრეს მიზეზად პირველ ყოვლისა ყრილობა სთვლის მშრომელ კაცობრიობის თავზე დატეხილ უბედურობას, მსოფლიო ომს, რომელიც გამოწვეული იყო, [illegible] და მტაცებლურ იმპერიალისტების მიერ.

2. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ყოველმხრივ შემოსულმა კონტრრევოლიუციამ, რომელსაც საქართველოდან მხარს უმშვენებდა ჩვენებური სოციალ-შოვინისტები, მენშევიკები, საბჭოთა რუსეთს არ მისცა საშუალება ეწარმოებინა აღმშენებლობითი მუშაობა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ეკონომიური მდგომარეობა, რასაც არ შეიძლება არ ქონდეს გავლენა საქართველოზედაც. საქართველოს სოციალ შოვინისტების და გაძარცვულების, სამი წლის განმავლობაში უპასუხისმგებლო და პირდაპირ ყაჩაღურმა მოღვაწეობამ, მათ მიერ ქვეყნის გაძარცვამ და განიარაღებამ, სიმდიდრის საზღვარ გარეთ გატანამ ჩააგდო მეტათ მძიმე ისედაც გაძარცვული და გაღატაკებული მშრომელი ხალხი იმ ეკონომიურ კრიზისში, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს მშრომელი ხალხი. მიუხედავათ ასეთი მძიმე პირობებისა, ოზურგეთის მაზრის რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა, ღრმა რწმენას და იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა საქართველო, თავისი ჭეშმარიტ რევოლიუციონური, ორგანოების მიზან შეწონილ, დაუღალავი და ენერგიული შრომის საშვალებით შესძლებს, ხსენებულ კრიზისის გადატანას და რომ ეს გაადვილებული იქნას, ყრილობა ადგენს:

1) პირველ ყოვლისა უმთავრესად ყოველგვარი გასაჭირი ეკონომიურ სფეროში მედგრათ და თავგანწირულად აიტანოს თვითეულმა პარტიის წევრმა, თვით პარტიამ და მისმა ადმინისტრატიულმა აპარატებმა და ამ თავგანწირვისა და ატანის აუცილებლობა უნდა შეაგნებინოს პარტიამ, რევკომებმა და ადმინისტრატიულმა აპარატების ხელმძღვანელებმა, უფრო ჩამორჩენილ ამხანაგებს და თანამგრძნობ მასას.

2) ყრილობა ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღევანდელ პერიოდში დიდ მოთხოვნილებათა წამომყენებელნი უნდა ჩაითვალონ არა საიმედო პირებათ, რომლებიც შეგნებულად, თუ შეუგნებლად ხელს უწყობენ მოწინააღმდეგეთა ბანაკს. ჩვენ ვიტანდით ციხეებს, ბნელ სარდაფებს, დაცინვას, დამცირებას, დახვრეტას ყოფილ მთავრობის მიერ. ეხლა უნდა ავიტანოთ დროებით: სიმშილი, სიცივე და წყურვილი საქართველოში მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცების და გამაგრების გულისთვის.

სასტიკი და ულმობელი ბრძოლა ერთი მხრივ სპეკულიაციასთან, ხოლო მეორე მხრივ ალაგმვა და სასტიკი ზომები, გაქცეული მთავრობის აგენტ-პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ ბედავენ და ხალხში ათასგვარ სიცრუესა და ყალბ ცნობებს ავრცელებენ საბჭოთა საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

3) ამას გარდა წინადადება მიეცეს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტს, რომ მან გამოიჩინოს მაქსიმუმი თავისი მოქმედებისა—უნარისა, როგორც სურსათ-სანოვაგის შეძენაში, ისე მისი სწორად და მიზან შეწონილად განაწილების საქმეში.

4) ამას გარდა ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ სამაზრო რევკომმა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე ნება დართოს მას, გამოსავლიან კუთხეებში სიმინდის ანგარიშზე აღებისათვის.

IV—რევკომებს და პარტკომებს შორის დამოკიდებულებაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. თევდორე დოლიძე, გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ყრილობა აღნიშნავს, რომ ზოგიერთ თემებში ვერც რევკომების წევრებს და ვერც პარტიულ ორგანიზაციებს, ვერ შეუგნიათ დიადი მნიშვნელობა და სიძლიერე რევკომებსა და პარტიულ ორგანიზაციების შეთანხმებულ და ერთსულოვან თანამშრომლობისა. ამიტომ ყრილობა ჰკიცხავს და ჰგმობს ასეთ მოვლენას, ვინაიდან ის იგივე საბჭოთა ხელისუფლების საზიანო მოვლენაა, და მოითხოვს სათანადო ორგანიზაციებიდან, რათა სასტიკი პასუხი მოეთხოვოს, ვინც პარტიულ ორგანიზაციებსა და რევკომებს შორის შეთანხმებულ და ერთ სულოვან მოქმედებას ხელს შეუშლის.

V—მეხუთე კითხვის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მენშევიკების დროს გურიაში ჰქონდა ადგილი ხშირსა და მძიმე ბოროტ მოქმედებას: ქურდობა-ავაზაკობა, მკვლელობა, დაცემა ყველა ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო რასაც ხელს უწყობდნენ თვით მენშევიკების აგენტები. ყრილობა სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ასეთი მოვლენები ოზურგეთის მაზრაში შემცირებულია თითქმის 99 პროცენტამდე, მიუხედავად ამისა, ყრილობა ადგენს: სასტიკი ყურადღება იქმნას მიქცეული ადმინისტრატიულ აპარატების მიერ, ყოველგვარ ბოროტების ძირ ფესვიანად ამოსაძირკვლად. უნდა იქმნას ენერგიული ზომები მიღებული პროვოკატორების ასალაგმავათ. ის აპარატი, რომელიც ამას სისრულეში მოყვანისა სისუსტეს და დაუდევრობას გამოიჩენს, სასტიკი პასუხისგებაში იქმნას მიცემული. ყოველგვარ ბოროტების აღმოფხვრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მასამ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პარტიულ ამხანაგების მეთაურობით.

VI—მილიციის და რევკომის შტატის შემცირებაზე ლაპარაკობს ამხანაგი კოწია გურგენიძე, რომელიც კითხულობს ინსტრუქციას თუ რამდენი მილიციონერი უნდა დარჩეს მაზრაში. მილიციონერები, რომლებიც აღემატება შტატს, ყრილობა ადგენს დაუყოვნებლივ იქმნას დათხოვნილი.

VII—დეზერტირების შესახებ ლაპარაკობს სამხედრო კომისარი ამხ. ვალ. თავართქილაძე, რომელიც აღნიშნავს წითელი ჯარის დიად მნიშვნელობას, რის შემდეგ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ყველა პატიოსანი მოქალაქე, ვინც დაინტერესებულია რევოლიუციის დაცვაში, მიიღოს ენერგიული ზომები დეზერტირების დასაჭერად და სათანადო ორგანოებში წარმოსადგენად".

VIII—ანგარიშების შესახებ სიტყვას ღებულობს ამხ. თედ. დოლიძე, რომელიც ამბობს შემდეგს: ჩვენი მიზანია ზედმეტ ხარჯებს გაურბოდეთ, ამიტომ სრულებით არ არის საჭირო მოეწყოს სოფლად ბუღალტერია, რომელიც იწვევს აურებელ ხარჯს, არამედ სოფლად გავგზავნოთ ინსტრუქტორები, რომლებიც შეასწავლიან რევკომის წევრებს ანგარიშის წარმოებას და ბოლოს ყრილობა ადგენს: „სამაზრო რევკომმა მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად გამოიმუშაოს ინსტრუქციები—ანგარიშების საწარმოებლად და გაგზავნოს ინსტრუქტორები თემებში. თემის რევკომებს ევალება დაუყოვნებლივ წარმოადგინონ წაღებული ავანსის ანგარიშები.

IX—დაბადებულთა და მიცვალებულთა აღრიცხვის შესახებ ყრილობამ ადგინა:

ყველა ცოცხალთა აღწერა მოხდეს, შეტანილ იქნას ყველა დაბადებული და მიცვალებული (მომავალში). ჩამოერთვას მღვდლებს საამისო წიგნები და სამაზრო რევკომმა გამოიმუშაოს ინსტრუქციები ამის ცხოვრებაში ადვილათ გასატარებლათ.

X—სკოლებს და საექიმო პუნქტების შესახებ მოისმინა რა მოხსენება ყრილობამ ამხ. თედორე დოლიძისა ადგენს:

იღებს რა ყრილობა მხედველობაში იმ მძიმე ეკონომიურ კრიზისს, რასაც განიცდის დღეს სახელმწიფო, ყრილობა ავალებს ადგილობრივ რევკომებს დაამზადონ ადგილობრივათ ხე ტყის მასალა და შეაკეთონ შენობები, ადგილობრივ გლეხების დახმარებით. საექიმო პუნქტების შესახებ კი ყრილობა ადგენს:

სადაც საჭიროა ადგილობრივმა რევკომმა ითხოვოს ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე, რათა გაიხსნას იქ საექიმო პუნქტი.

XI—ტრანსპორტის და მისვლა-მოსვლის შესახებ ყრილობა ადგენს:

სადაც არის იქ მიზანშეწონილათ გამოიყენონ ტელეფონი, სადაც არ არის იქ ევალება სამაზრო რევკომს გაიყვანოს ტელეფონი და მტკიცე კავშირი დაიჭიროს თემებთან.

XII—დეკრეტების, ცირკულიარების და განკარგულებების ცხოვრებაში გასატარებლათ ყრილობა ადგენს:

ყოველივე ასეთების სისრულეში მოყვანა ევალება სათანადო ორგანოებს, მაქსიმალური სისწრაფით ცხოვრებაში გასატარებლათ.

XIII—კოოპერატივების და მათი გამგეობების შესახებ ყრილობა ადგენს:

ვინაიდან ზოგიერთ კოოპერატივებში თავმოყრილია არა საიმედო პირები, ამიტომ რევკომებს ევალება გამოყონ ერთი ინსტრუქტორი (კომუნისტი) რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მთელ თემში კოოპერატივის თავის სიმაღლეზე დადგომას.

განცხადება

1. წერილობითი განცხადება, რომელიც ეხებოდა ბახმაროზე ვაჭრობის აკრძალვას, ყრილობა ადგენს: ეს კითხვა მიენდოს ისევ იმ 3 რევს, რომლებმაც წინეთ მიიღეს ამ კითხვის გადაჭრაში მონაწილეობა, ხელახლა გადასაჭრელათ.

2. ალ. მგელაძის განცხადებაზე საავათმყოფოს შესახებ კრება ადგენს: ეს კითხვა ეხება ჯანმრთელობის განყოფილებას, სადაც შეუძლია ამხანაგს მიმართოს.

3. განცხადება სასამართლოს და რევკომს შესახებ მოხსნილ იქნა, სახალხო სასამართლოს დაწყების გამო.

4. დაბოლოს შემოაქვს განცხადება ამხ. თ. ჩიჩუას, რომელიც აფრთხილებს რევკომის თავმჯდომარეებს, რომ მოწმობა გასცენ ისეთ პირებზე, რომლებიც მართლა არიან გაჭირვებული.

3 ივლისს, საღამოს ექვს საათზე ყრილობა ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

ყარაჩოღლი,

ახალციხე.

თითქმის 3 თვეზე მეტია, რაც ახალციხას სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება არსებობს. განყოფილებას სათავეში უდგას კოლეგია 3 პირისაგან შემდგარი, განყოფილება შეიცავს 3 ქვეგანყოფილებას: პენსიათა და დახმარებათა, საფინანსო სამეურნეო და საორგანიზაციო საინსტრუქტორო. ამ ხნის განმავლობაში უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე განყოფილების ანგარიშებიდან და პირადი შთაბეჭდილებიდან ვიცით. ჯერ-ჯერობით 157 პირია ჩარიცხული, რომელზედაც ვრცელდება დახმარება ნატურის სახით. და თან 3. წითელ არმიელის ოჯახი რომელნიც ღებულობენ პენსიას. ეს რიცხვი ძლიერ მცირეა შედარებით იმ გაჭირვებაზე, რომელსაც განიცდის ახალციხის მაზრა. მან ამ ბოლო წლებში ბევრი აწიოკება აოხრება გადაიტანა და რა გასაკვირია ღარიბ-ღატაკთა რიცხვი, რომ საგრძნობი იყოს. ასეთი მცირე რიცხვი—157. უჩვენებს რომ იქ დახმარებას არ აქვს ფართო მასიური ხასიათი. განყოფილება მუშაობს ვიწრო ქალაქის ფარგლებში. მუშაობისთვის უფრო ფართო ხასიათის მისაცემათ საჭიროა სოფლებში შესვლა და იქ რაიონული განყოფილებების დაარსება. რაიონულ განყოფილებებს, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვთ, ესენი აადვილებენ მცხოვრებთა დახმარებისთვის მიმართვას და ერთნაირ შემაერთებელ რგოლს თამაშობენ განყოფილებასთან.

თვით ქალაქში არ არსებობს ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტები. როგორიც არის ინვალიდთა თავშესაფარი, სასადილო და სხვა.

რა თქმა უნდა თავი და თავი მიზეზი ყოველივე ამისა ფულის სიმცირეა, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ არის განყოფილებები, რომელთაც ფული ჯერ სულ არ მიუღიათ კომისარიატიდან. ახალციხის განყოფილებამ კი 32 მილ. 200 ათასი მაინც მიიღო ჩვენგან. აგრეთვე ადგილობრივათაც სარგებლობს ფულით, შედარებით იმ სიღრმეზე, რომელიც არსებობს იქ, შეიძლებოდა უფრო ნაყოფიერი მუშაობა. სხვათა შორის ძლიერ აფერხებს საქმის წესიერად მოგვარებას სახელმწიფო ენის უცოდინარობა თანამშრომელთა შორის. გაურჩეველი ქაღალდები გროვობით ძევს, აქ გამოგზავნილი ქაღალდები ქართულად დაწერილი ხომ სიმახინჯეს წარმოადგენს. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ან აიყვანოს განყოფილებამ ქართულის მცოდნე პირი, რომელსაც შეეძლოს წესიერად თარგმანი და ქართულად კარგათ საქმის წარმოება [illegible] რუსულ ენაზე აწარმო[illegible] ნამდვილ [illegible] შემთხვევაში [illegible] გამოდის და რა თქმა უნდა ყოვლად შეუძლებელია საქმის წესიერად მოგვარება და რაიმე ნაყოფიერი მუშაობა. სოც. უზრ. სახკომისარიატის მიერ ახალციხეში დანიშნულია თავის რწმუნებულათ ამხ. ლ. კანდელაკი ის როგორც ენერგიული და საქმის მცოდნე ადამიანი, იმედი გვაქვს უფრო კარგ და სასურველ ნიადაგზე დააყენებს საქმეს.

თ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 59.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა მატყლზე ნატურალური გადასახადის დაწესებისა.

1. საქონლის გადაცვლისათვის საჭირო პროდუქტების მისაღებად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

დაწესდეს მატყლზე ნატურალური გადასახადი:

2. გადასახადი უნდა გადაიხადოს ყოველ ცალკე მეურნეობამ იმ ანგარიშით, თუ რამდენი თავი ცხვარიც ჰყავს თვითეულ მეურნეობას.

შენიშვნა: გადასახადის განსაზღვრის დროს ბატკნები ანგარიშში არ ჩაითვლება.

3. გადასახადის აკრეფის მიზნით მეურნეობანი დაიყოს ხუთ ჯგუფათ იმის მიხედვით, თუ რამდენი ცხვარი ჰყავს თვითეულ მეურნეობას.

4. გადასახადის განაკვეთი ჯგუფების მატყლზე იქნეს შემდეგი რაოდენობით:

მეურნეობა, რომელსაც ჰყავს ცხვარი.	გადასახადის განაკვეთი თვითეულ ცხვარზე გირვანქობით.
11—75	1/4
76—200	3/8
201—500	1/2
501 და მეტიც	3/4

5. მეურნეობა, რომელსაც ჰყავს თერთმეტ თავ ცხვარზე ნაკლები თავისუფალია მატყლზე დაწესებული გადასახადისაგან.

6. თვითეული მეურნეობისათვის გადასახადს აწესებს ნატურალურ გადასახადთა სამაზრო კომისიები, რომლებიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

7. გადასახადის აკრეფის ვადას განსაზღვრავს სასურსათო სახალხო კომისარი ისე კი, რომ გადასახადის აკრეფა დასრულდეს არა უგვიანეს 1921 წ. დეკემბრის 15-სა.

8. გადასახდელთაგან მიღებული მატყლი უნდა იქნეს კარგი ხარისხისა, მატყლი უნდა გადატანილ იქნეს თვით გადამხდელების მიერ მიმღებ პუნქტებში—დამამზადებელ კონტორებსა, კოოპერატივების საწყობებსა და სხვ.

9. ამ დეკრეტის განხორციელება ევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

10. მოქალაქე, რომელიც არ გაიღებს განსაზღვრულ ვადაზე გადასახადს და აგრეთვე ის, ვინც გადასახადის გამო ყალბ ცნობას წარმოადგენს, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხის გებაში ადმინისტრატიული წესით.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე ერქომაიშვილი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ივლისის 26.

ტფილისი სასახლე.

დეკრეტი № 62.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიწისმფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეულ დავის გადასაწყვეტად განსაკუთრებული კომისიის დაარსების შესახებ.

რათა, ამა 1921 წლის 6.ს თარიღის და 17 №-ის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს ყოველგვარი დავა, მიწისმფლობელობით ან მისი ამა თუ იმ ურთიერთობით გამოწვეული, სასწრაფოთ იქმნეს გადაწყვეტილი, — საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველგვარი დავა მიწის უფლებაზე ან მიწისმფლობელობით გამოწვეული ურთიერთობის გამო გადაეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განსახილველად და საბოლოო გადასაწყვეტად. ამისთვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია.

2. ხსენებულ კომისიას და მისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციას შეადგენს და დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ივლისის 27

ტფილისი-სასახლე.

ჩვენი ფოსტა

ქართველ ისრაელს. პრინციპიალურათ თქვენს კითხვებზე ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო გამოთქმული ჩვენი აზრი და შემდეგშიც იქნება. რაც შეეხება კერძოთ, სკოლის საქმეს, მას საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი აწესრიგებს და ახლო მომავალში გვექნება სრულებით ახალი ტიპი სკოლისა, შრომის სკოლისა სადაც სხვათა შორის ქართველი ებრაელებიც ასეთივე სწავლა-ცოდნას მიიღებენ რასაკვირველია თავიანთ სამშობლო ენაზე, როგორც სხვა ხალხის ბავშვები.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

განათლების და სოციალისტურ კულტურულ კავშირის საორგანიზაციო ბიურო

აგვისტოს 4, 5, 6 განმავლობაში სოციალისტურ განათლების კავშირის ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5 დანიშნულია რეგისტრაცია ყველა კომუნისტებისა რომლებიც ირიცხებიან ზემოაღნიშნულ კავშირში წევრებათ და აგრეთვე იმ პირებისა, რომლებიც ჯერ არ შესულან კავშირში წევრად.

რეგისტრაცია სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესრიგით.

მდივანი ტ. კ.

კავშირის თავმჯდომარე ა. მიქაძე

ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

„თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის ა. წ. 30 ივლისის № 123 ცირკულიარ განკარგულებისა ევალებათ ყველა დაწესებულებებს, როგორც სახელმწიფოს ისე კერძოს სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ ან გადმოგზავნონ თბილისის ხაზინაში ყველა არა საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები რომლებიც ამ ჟამად იმყოფება მათ კასებში".

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.

ჟურ. „ყუმბარა"

1 აგვისტოს გამოვიდა ახალი სალიტერატურო და საიუმორისტო ჟურნალი „ყუმბარა" მასალები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: პოლიტ. განათლების მთავარმმართველობის საგიტ. განყოფილება (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

ავტორები მიიღებენ გონორარს ახალი ტარიფით.